მოხმარების წესები: სს "საქართველოს რკინიგზა" ფიზიკურ პირებს სთავაზობს, ჩვენი ვებ-გვერდის საშუალებით Online რეჟიმში, ადგილობრივი მსვლელობის სამგზავრო მატარებლებზე**Visa/MasterCard** პლასტიკური ბარათების მეშვეობით შეიძინოს ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტები (ბილეთები).

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტები შეძენის პროცედურისა და მგზავრობის განხორციელების დროს კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ სრულყოფილად გაეცნოთ სამგზავრო მატარებლებზე ინტერნეტ გაყიდვის წესებს და დაადასტუროთ მათი გაცნობა.

ვებ-გვერდის საშუალებით შესაძლებელია საქართველოს რკინიგზის ადგილობრივი მსვლელობის სამგზავრო მატარებლებზე ყველა სახის ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების შეძენა ნებისმიერი მიმართულებით, როგორც სრული, ასევე საბავშვო და სტუდენტური ტარიფით. აღნიშნული სერვისი ფასიანია და დადგენილია სს "საქართველოს რკინიგზის" მიერ. სერვისის ღირებულება თითოეულ ბილეთზე შეადგენს 1 ლარს.

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების შეძენა ხორციელდება **Visa/MasterCard** პლასტიკური ბარათების საშუალებით. გამოუყენებელი ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების დაბრუნებისას თანხის ჩარიცხვა ხორციელდება 3 საბანკო დღეში, მხოლოდ იმ პლასტიკურ ბარათზე, რომლითაც განხორციელდა ტრანზაქცია.

ყურადღება!!! ბილეთების ინტერნეტით გაყიდვისას არ ხორციელდება:

- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შეღავათიანი ტარიფით სამგზავრო დოკუმენტების გაფორმება. აღნიშნულ პირებს გთხოვთ მიმართოთ საქართველოს რკინიგზის სალაროებს.
- შშმ (ეტლით მოსარგებლე) პირებისათვის სამგზავრო დოკუმენტების გაფორმება. აღნიშნულ პირებს გთხოვთ მიმართოთ საქართველოს რკინიგზის სალაროებს.
- სამგზავრო დოკუმენტების გაყიდვა საგარეუბნო და საერთაშორისო მსვლელობის სამგზავრო მატარებლებზე.

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების შესაძენად უნდა გაიაროთ რეგისტრაცია, შეიყვანოთ თქვენი სახელი, გვარი, პაროლი, ელ-ფოსტის, საკონტაქტო ტელეფონის და პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები. ყურადღება მიაქციეთ ინფორმაციის სისწორეს, რაც აუცილებელი პირობაა მგზავრის მატარებელში დაშვებისათვის.

მატარებლებზე ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების გაყიდვა წარმოებს მატარებლის გასვლამდე 40 დღის განმავლობაში.

ერთი ტრანზაქციით პიროვნებას შეუძლია შეიძინოს მაქსიმუმ 8 ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტი.

სამგზავრო მატარებლებზე ბილეთების ინტერნეტ გაყიდვა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს, რომელთა წარმატებით გავლის შემდეგ მომხმარებელი ყიდულობს ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტს (ბილეთს).

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტით გზავრობისათვის ვაგონის გამცილებელთან წარადგინეთ შეძენის კოდი და ამ კოდის მფლობელი მგზავრის პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა.

ელექტრონული ბილეთის გაყიდვა წყდება მატარებლის საწყისი სადგურიდან გასვლამდე 2 საათით ადრე.

ბილეთის შეძენა

სამგზავრო მატარებლებზე თავისუფალი ადგილების მოსაძებნად თანმიმდევრობით შეიყვანეთ ველებში მითითებული ინფორმაცია:

1. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი მგზავრობის თარიღი. გასვლის თარიღად ითვლება მატარებლის საწყისი სადგურიდან გასვლის დრო.
2. შეიყვანეთ გამგზავრების და დანიშნულების სადგურები.
3. მიუთითეთ სრული ადგილების რაოდენობა. სრული ადგილებით სარგებლობა შეუძლიათ 10 წლისა და მეტი ასაკის მგზავრებს.

4. მიუთითეთ საბავშვო ადგილების რაოდენობა. საბავშვო ბილეთი გაიცემა 5-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე, ბილეთის გაფორმების დროს აუცილებლად უნდა შეავსოთ დაბადების მოწმობის ან პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

მგზავრთან ერთად უფასოდ შეიძლება მგზავრობდეს 5 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი, თუ იგი არ იკავებს ცალკე ადგილს.

5 წლამდე ასაკის ბავშვისათვის ცალკე ადგილის დასაკავებლად აუცილებელია შესაბამისი საბავშვო ტარიფით გაფორმებული ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტის შეძენა.

მგზავრთან ერთად 5 წლამდე ასაკის ერთზე მეტი ბავშვის მგზავრობისას, აგრეთვე 5-დან 10 წლამდე ასაკის თითოეული ბავშვისათვის, აუცილებელია საბავშვო ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტის შეძენა.

10 წლამდე ასაკის ბავშვის მგზავრობისას აუცილებელია ვაგონის გამყოლისათვის დაბადების მოწმობის წარდგენა.

10 წლის და მეტი ასაკის ბავშვი მგზავრობს მოზრდილთთავის დადგენილი წესით.

სასურველი ინფორმაციის შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს "ძებნა". სისტემა მოგაწვდით თქვენთვის სასურველ მარშრუტზე, არსებულ თავისუფალ ადგილებს, მატარებლის ნომრის, მატარებლის დასახელების, ვაგონის რანგის, ვაგონისა და ადგილების ნომრების, სადგურიდან გასვლის და ჩასვლის თარიღისა და დროის მითითებით, მითითებული პარამეტრების შედეგად ფორმირებული ადგილების სრული საფასურის მიხედვით.

აირჩიეთ სასურველი მატარებელი და გააქტიურეთ. მატარებლის ასარჩევად მოცემულია 1 წუთი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ადგილების ძებნა უნდა განახორციელოთ თავიდან.

მატარებლის არჩევის შემდეგ გეძლევათ 10 წუთი მგზავრების შესახებ ინფორმაციის შესაყვანად და ტრანზაქციის განსახორციელებლად.

დამატებითი მომსახურება (თეთრეული) ხელმისაწვდომია მხოლოდ ღამის სამგზავრო მატარებლების კუპირებულ (4 ადგილიანი) და რბილი (2 ადგილიანი) ტიპის ვაგონებზე. აღნიშნული მომსახურების საფასური კუპირებულ ვაგონზე შეადგენს 3 ლარს, ხოლო რბილი ტიპის ვაგონზე შედის ბილეთის საფასურში.

მგზავრების შესახებ ინფორმაციის შევსება

მგზავრების შესახებ ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია მომხმარებელი. ყურადღება მიაქციეთ გვარის, სახელისა და პირადი ინფორმაციის სისწორეს, რაც აუცილებელი პირობაა მგზავრის მატარებელში დასაშვებად.

დასაშვებია ერთი მგზავრის პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებით გაფორმდეს ყველა ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტი, გარდა საბავშვოსა. მგზავრები მატარებელში დაიშვებიან მხოლოდ იმ პიროვნების მგზავრობის შემთხვევაში, ვის სახელზეც გაფორმდა ბილეთები.

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტი საბავშვო ტარიფით გაიცემა 5-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებზე, შეძენის დროს აუცილებლად უნდა შეავსოთ ბავშვის დაბადების ან პიროვნების დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

მგზავრობის საფასურის გადახდა

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტის შეძენა ხორციელდება **Visa/MasterCard** პლასტიკური ბარათების საშუალებით.

ტრანზაქციის განსახორციელებლად გაიარეთ ბანკის მიერ შემოთავაზებული პროცედურები.

ტრანზაქციის წარმატებით დასრულების შემდეგ თქვენ მოგეცემათ ინფორმაცია შეძენილი ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების შესახებ, მატარებლის ნომრის, დასახელების, გამგზავრების, დანიშნულების სადგურების და დროის, მგზავრების ინფორმაციისა და შეძენის კოდის მითითებით.

თქვენ შეგიძლიათ ამობეჭდოთ ან დაიმახსოვროთ მოცემული ინფორმაცია. ასევე შეტყობინებას მიიღებთ თქვენს ელ-ფოსტაზე.

მგზავრობა

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტით მგზავრობისათვის ვაგონის გამცილებელთან წარადგინეთ ბილეთის შეძენის კოდი და მგზავრების პიროვნების დამადასტურებელ მოწმობა.

აუცილებელი პირობაა: პიროვნება, რომელზეც გაფორმებულია დანარჩენი მგზავრების ბილეთები, იმყოფებოდეს მატარებელში ჩასხდომის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მგზავრები არ დაიშვებიან მატარებელში.

მგზავრს უფლება აქვს მგზავრობისას თან იქონიოს არა უმეტეს 36 კგ ხელბარგისა (სრული და საბავშვო ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტებზე).

ბილეთების დაბრუნება

ყურადღება !!! ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტი შეგიძლიათ დააბრუნოთ მატარებლის გასვლამდე 2 საათით ადრე, მხოლოდ Online რეჟიმში, საქართველოს რკინიგზის ვებ-გვერდის საშუალებით. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტები ბილეთი არ ბრუნდება.

თუ მატარებლის გასვლამდე დარჩენილია:

- არანაკლებ 15 საათისა – მგზავრს ექვითება მგზავრობის ღირებულების 0%
- 15 სთ-ზე ნაკლები დრო – 15%
- 4 სთ-ზე ნაკლები დრო – 30%
- მგზავრს უბრუნდება სამგზავრო დოკუმენტის (ბილეთის) თანხა საკომისიო ღირებულების გარეშე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მგზავრი სარგებლობს დამატებითი მომსახურებით (თეთრეული) სამგზავრო დოკუმენტის (ბილეთის) დაბრუნების შემთხვევაში ასევე დაუბრუნდება დამატებითი მომსახურების (თეთრეული) სრული ღირებულება.

ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტის დაბრუნებისათვის აირჩიეთ მენიუ „შეძენილი ბილეთები“, ღილაკით + ჩამოშალეთ შეძენილი ბილეთების ისტორია და შემდეგ ღილაკზე დაჭერით დაადასტურეთ ბილეთის დაბრუნება, მოქმედი წესების მიხედვით ბარათზე დაგიბრუნდებათ შესაბამისი თანხა, რაც აისახება შეძენილი ბილეთების ისტორიის თანხის ველში.

ყურადღება !!! ელექტრონული ბილეთი შეგიძლიათ დააბრუნოთ მატარებლის გასვლამდე 2 საათით ადრე. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ ელექტრონული ბილეთი არ ბრუნდება.

გამოუყენებელი ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების დაბრუნებისას თანხის ჩარიცხვა ხორციელდება 3 საბანკო დღეში, მხოლოდ იმ პლასტიკურ ბარათზე, რომლითაც განხორციელდა ტრანზაქცია.

თანხის დროულად დაბრუნებაზე პასუხისმგებელია ბანკი.